დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმამათლებლო პროგრამა

„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი 28.03.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **ნინო**

გვარი **დონდოლაძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	სამთო საქმე და მოპოვება 0724
7	სწავლების ენა	რუსული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, № 3 სასწავლო კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო 15.02.2022. გადაწყვეტილება №152108

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 8 თებერვალი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი - 2023 წლის 8 თებერვალი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	4 წელი - 2026 წლის 8 თებერვალი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ან მომიჯნავე მიმართულებით ბაკალავრის ხარისხს (დაზუსტდეს შიდასაუნივერსიტეტო დარგობრივი გამოცდის საკითხები); პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ გამოიკვეთოს B2 დონის რუსული ენის ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების აუცილებლობა როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის;

2. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები;

3.რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები;

4. რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;

5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ და „ნავთობის ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტები, სისტემა და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, ხოლო ზოგიერთი საგნის („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია,“ „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ და სხვა) სილაბუსში შეფასების მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური დავალებებით;

6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს რუსულ ენაზე საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) მიწოდება რუსულენოვანი სტუდენტებისათვის;

7. რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად;

8. რეკომენდირებულია, ამოქმედდეს პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა - აღმოფხვრის მონიტორინგის მექანიზმები;

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის № 152108 გადაწყვეტილებით ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების რუსულენოვანი მაგისტრატურის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით. მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 1 წელი. რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილეს თითოეული მათგანი, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიურ საბჭოზე.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“;

2. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობა აღმოიფხვრას (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76 ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75 ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS;

3. სასურველია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია;

4. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებისმიზნით;

5. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული ტექნოლოგიის პირობებში კომპიუტერული პროგრამების ფლობა;

6.სასურველია, მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით;

7. სასურველია, „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლოკ ურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“;

8. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არსებულ კრიტერიუმების ქულები გადანაწილდეს 100 ქულიან სისტემაზე;

9. სასურველია, უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს;

10. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება;

11. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად;

12. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ დახვეწა ისე, რომ ის გავრცელდეს სამაგისტრო ნაშრომზეც და გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნული;

13. სასურველია მუდმივი განვითარების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა;

14. პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში სასურველია, დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია წარმოებდეს და შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას;

15. სასურველია, უნივერსიტეტმა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, კერძოდ, გარდა ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემებისა, სასწავლო პროცესის მართვის შესახებ საკვანძო საკითხები (შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, ლექციების ჩაწერის დასაშვებობა, შინაარსობრივი საკითხების შესახებ მხარდაჭერა და სხვა);

16. სასურველია, გარე ექსპერტის და უცხოელი კოლეგების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების, ასევე, უცხოური პროგრამების დადარებისას არსებული გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის მუდმივი დახვეწის მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა ასევე გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის № 152108 გადაწყვეტილებით მიღებული რჩევების გათვალისწინების საჭიროება, რომელთა რეკომენდაციებთან ერთობლიობაში შესრულება ცალსახად პოზიტიურად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. ამასთან, წარმოდგენილი რჩევების შერულების პროცესი დაიწყო მყისიერად და მიმდინარეობს გეგმიური შედეგებით, რაც საანგარიშო ერთწლიან პროცესში ვერ დასრულდება. გარდა ამისა, რეკომენდაციებისა და რჩევების შინაარსის ურთიერთმიმართება, რიგ შემთხვევებში

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

არის მჭიდრო კავშირში და რეკომენდაციის შესრულება პირდაპირპროპორციულად აისახება კონკრეტული „რჩევის“ შესრულების ხარისხზე.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა[14] I	სასურველია, მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით;
შეფასება	რჩევა შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რჩევა მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათების საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით შეცვლის შესახებ; წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებში, კერძოდ 1. გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია,

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	2. ნავთობგაზის წარმოების ეკონომიკა და მართვა სასემინარო მეცადინეობის ფორმა შეიცვალა პრაქტიკული მეცადინეობით.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; 2. ნავთობგაზის წარმოების ეკონომიკა და მართვა (დანართი 2)

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია I[15]	მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ სასწავლო კურსების „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავება“ სავალდებულო კომპონენტთა შორის გაითვალისწინების შესახებ, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები; უნდა აღინიშნოს, რომ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულ იქნა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“. უნივერსიტეტმა წარმოადგინა აღნიშნული საგნის სილაბუსი და განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია.

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[16] II	სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობა აღმოიფხვრას (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76 ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75 ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS;
შეფასება	რჩევა შესრულდა. შესწორდა სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული მცირე უზუსტობა. იმის გამო, რომ პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, პროგრამაში დამატებით გაჩნდა არჩევითი სასწავლო კურსების ერთი ბლოკი, ამიტომ სასწავლო გეგმაში შემდეგნაირად გაიწერა: სავალდებულო – 71 ECTS, არჩევითი - 19 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS;
მტკიცებულებ(ები)ა	1. სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სილაბუსი; 2. განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია (დანართი 3); 3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“, 4. პროგრამის სწავლის შედეგი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება[17]	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება[18]	**2.1 პროგრამა ზედაშვების წინაპირობები**
რეკომენდაცია II [19]	რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ან მომიჯნავე მიმართულებით ბაკალავრის ხარისხს. (დაზუსტდეს შიდა საუნივერსიტეტო დარგობრივი გამოცდის საკითხები); პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[17] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[18] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გამოიკვეთოს B2 დონის რუსული ენის ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების აუცილებლობა როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია პროგრამაზე დასაშვები წინაპირობების დაზუსტების შესახებ იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ან მომიჯნავე მიმართულებით ბაკალავრის ხარისხს. კერძოდ, მაგისტრანტობის მსურველ პირებისათვის, რომელთაც ბაკალავრიატი დასრულებული აქვთ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიებისგან განყენებულ სფეროებში (პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, სოციოლოგია და სხვ.), დაზუსტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგი ჩანაწერით: მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის სფეროში, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის სფეროში (გეოლოგია, გეოფიზიკა, ქიმია). ასევე მკაფიოდ გამოიკვეთა B2 დონის რუსული ენის ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების აუცილებლობა შემდეგი ჩანაწერით: რუსულენოვან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისას, აუცილებელია აპლიკანტი ფლობდეს რუსულ ენას სულ მცირე B2 საფეხურის შესაბამის დონეზე.
რჩევა[20] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“; 2. პროგრამის სწავლის შედეგი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1);

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**
რეკომენდაცია III[21]	რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება/სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება/სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნების შესახებ ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, სწავლების მეთოდები და აქტივობების ნათლად და ცალ-ცალკე გამოჩენის შესახებ; უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსები გამრავალფეროვნდა ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება/სწავლის მეთოდებით (კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში). კერძოდ: **კვლევაზე დაფუძნებული სწავლება** ჩაემატა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში: ნაპრალოვანი კოლექტორების დამუშავება; ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; დაპროექტების მეთოდოლოგია ნავთობგაზის დარგში და პროექტების მართვა; საწარმოო პრაქტიკა ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში. **შემთხვევის ანალიზი** ჩაემატა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში: ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე ტექნოლოგიები; საბადოების დამუშავების მართვა;

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ნაპრალოვანი კოლექტორების დამუშავება; ნავთობგაზის წარმოების ეკონომიკა და მართვა. **გონებრივი იერიში** ჩაემატა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში: ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში; ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე.
რჩევა[22] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. ნაპრალოვანი კოლექტორების დამუშავება; 2. ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; 3. დაპროექტების მეთოდოლოგია ნავთობგაზის დარგში და პროექტების მართვა; 4. საწარმოო პრაქტიკა ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში; 5. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე ტექნოლოგიები; 6. საბადოების დამუშავების მართვა; 7. ნაპრალოვანი კოლექტორების დამუშავება; 8. ნავთობგაზის წარმოების ეკონომიკა და მართვა; ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; 9. გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; 10. თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში; 11. ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე (დანართი 2).

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია IV[23]	რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეო-ლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები შეცვლა-შემცირების შესახებ ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს. სასწავლო კურსების სილაბუსებში: ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები; საბადოების დამუშავების მართვა; თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები; გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში; ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე შემცირდა სილაბუსით განსაზღვრული მიმდინარე აქტივობები და ასე ჩამოყალიბდა: მიმდინარე აქტივობის შეფასება ხდება ორი კომპონენტის კომბინირებით: **შემთხვევის (ქეისის) განხილვით (Case study) (მაქსიმალური შეფასება 12 ქულა) და პრაქტიკულ სამუშაოზე აქტივობით (მაქსიმუმ 18 ქულა),** ორივე კომპონენტის მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 30 ქულა. **I კომპონენტი** - ქეისის განხილვა სემესტრში ტარდება სამჯერ: მე-5, მე-10, მე-15 კვირას. ერთი ქეისის მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა (მაგისტრანტი აგროვებს მაქსიმუმ 12 ქულას) და მოცემულია შეფასების კრიტერიუმები. **II კომპონენტი** - პრაქტიკულ სამუშაოზე აქტივობა ფასდება მაქსიმუმ 18 ქულით (სემესტრში ტარდება 9-

	ჯერ). თითო პრაქტიკულ სამუშაოს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 2 ქულა და ასევე მოცემულია შეფასების კრიტერიუმები. **შუალედური შეფასებების (მიმდინარე აქტივობების და შუასემესტრული გამოცდის) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა.**
რჩევა[24] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; 2. ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები; 3. საბადოების დამუშავების მართვა; 4. თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები; 5. გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; 6. ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; 7. თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში; 8. ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე (დანართი 2).

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია V[25]	რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ და „ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტები, სისტემა და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, ხოლო ზოგიერთი საგნის („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ და სხვა) სილაბუსში შეფასების მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური დავალებებით;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა.

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები შეცვლა-შემცირების შესახებ ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს. სასწავლო კურსებში: ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები; საბადოების დამუშავების მართვა; თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები; გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში; ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე შემცირდა სილაბუსით განსაზღვრული მიმდინარე აქტივობები და ასე ჩამოყალიბდა: მიმდინარე აქტივობის შეფასება ხდება ორი კომპონენტის კომბინირებით: **შემთხვევის (ქეისის) განხილვით (Case study) (მაქსიმალური შეფასება 12 ქულა) და პრაქტიკულ სამუშაოზე აქტივობით (მაქსიმუმ 18 ქულა),** ორივე კომპონენტის მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 30 ქულა.
რჩევა[26] V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები: 1. ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები; 2. ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია; 3. ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია; 4. თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები;

[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	5. ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე; 6. გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია; 7. საბადოების დამუშავების მართვა (დანართი 2).

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
კომპონენტის დასახელება	**3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**
რეკომენდაცია VI[27]	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს რუსულ ენაზე საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) მიწოდება რუსულენოვანი სტუდენტებისათვის;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) რუსულ ენაზე მიწოდების უზრუნველყოფის შესახებ რუსულენოვანი სტუდენტებისათვის; რეკომენდაციის შესაბამისად, რადგან პროგრამა რუსულენოვანია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სერვისები და სხვა დოკუმენტები რუსულ ენაზე. სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალფეროვანი მარეგულირებელი დოკუმენტები რუსულ ენაზე, ისეთები როგორებიცაა: • სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირების და მობილობის ინსტრუქცია; • ეთიკის კოდექსი;

[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	• სტუ - ს შინაგანაწესი; • სტუ - ს წესდება; • სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია; • სტუდენტებისა შეფასების კრიტერიუმები; • სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი.
რჩევა[28] VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირების და მობილობის ინსტრუქცია; 2. ეთიკის კოდექსი; 3. სტუ - ს შინაგანაწესი; 4. სტუ - ს წესდება; 5. სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია; სტუდენტებისა შეფასების კრიტერიუმები; 6. სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; 7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი (დანართი 4); 8. https://gtu.ge/Mining/Faculty/QualityAssurance.php

სტანდარტის დასახელება[29]	**სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება[30]	**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**
რეკომენდაცია	
შეფასება	
რჩევა[31] III	სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად;
შეფასება	რჩევა შესრულდა.

[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[29] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[30] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[31] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რჩევა დაწესებულების მიერ პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობისათვის; როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე 2022 წლის 11 მაისს შედგა შეხვედრა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტისა“ და ინგლისურ კომპანიას „ბლოკენერჯის“ წარმომადგენლების შორის. შეხვედრას ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანატი და აკადემიური პერსონალი. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, რომლის ინიციატორები იყვნენ ინგლისური კომპანია “ბლოკენერჯის“დირექტორი კენ სეიმური, მთავარი გეოლოგი ჯონათან ბრედფორდი და ტექნიკური მენეჯერი სტივენ ჯეიმსი. კომპანიის მთავარმა გეოლოგმა ჯონათან ბრედფორდმა ჩაატარა ტრენინგი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებს მიზნით წარმოადგინა პრეზენტაცია მათ სალიცენზიო ბლოკში არსებული საქართველოს ნავთობისა და გაზის საბადოების პერსპექტივების შესახებ. კომპანია დაინტერესებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებითა და სამომავლოდ, მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა გადამზადებით. დაგეგმილია ასეთი ტრენინგების გაგრძელება.
მტკიცებულებ(ები)ა	1. ტრენინგი - ბლოკენერჯი (დანართი 5) https://gtu.ge/Mining/News/?ELEMENT_ID=19615

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**

რეკომენდაცია VII[32]	რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის შესახებ მეტი ეფექტიანობის მისაღწევად; უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის შესაბამისად, სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასებისას გაიმიჯნოსება ხარისხის შეფასების ფორმები და ცალ-ცალკეა შესაფასდება როგორც სასწავლო კურსები, ისე პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა. ამასთან, დადგინდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვების შედეგების თაობაზე პროფესორ-მასწავლებლებისთვის სისტემატურად ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა. სტუდენტთაკმაყოფილების კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ინფორმაციის გამოყენებას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიური პერსონალის განვითარებაში, მათი პროფესიული და აკადემიური კომპეტენციების გაუმჯობესებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასშტაბით, vici სისტემის ელექტრონული გამოკითხვების პლატფორმის მეშვეობით, რეგულარულად წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება, მათი პროფესიული, აკადემიური, ორგანიზაციული კომპეტენციების მიხედვით, აგრეთვე სტუდენტებთან თანასწორ მოპყრობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების თვალსაზრისით. გამოკითხვების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები. აღნიშნული გამოკითხვების ფარგლებში, თითოეულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ანონიმურად შეაფასოს მიმდინარე სემესტრის ფარგლებში მის მიერ არჩეულ თითოეულ კურსში ჩართული აკადემიური პერსონალი, სასწავლო პროცესი, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის

[32] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შინაარსი, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსი შესაბამისი კითხვარების საშუალებით. გარდა გამოკითხვის შედეგების გაცნობისა, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ეძლევათ რეკომენდაცია, სტუდენტებთან ერთობლივად განიხილონ შედეგები და ღიად იმსჯელონ შესაბამისი სუსტი და ძლიერი მხარეების გარშემო, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე; აგრეთვე, სწავლების მეთოდების კონკრეტული კურსის სპეციფიკასა და სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების პერსპექტივებზე, დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის ოპტიმიზების მიზნით. ამ ტიპის ღია და კონსტრუქციული დისკუსია ემსახურება კომუნიკაციის გაუმჯობესებას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე ნდობის ამაღლებსა და ობიექტური შეფასების უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. თავის მხრივ, ახალბედა პროფესორებისთვის აღნიშნული გამოკითხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია საუკეთესო შესაძლებლობას ქმნის მათი აკადემიური კომპეტენციის დახვეწის სწორი სტრატეგიის შემუშავებაში. მსგავსი ტიპის აქტივობები ხელს უწყობს თვითგანვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ორმხრივ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის და კონსტრუქციული, ურთიერთდახმარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარებას.
რჩევა[33] VII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. vici სისტემა და გამოკითხვების პლატფორმა დანართით (დანართი 6); 2. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება აკადემიური პერსონალის განვითარებაში (დანართი 6);

სტანდარტის დასახელება	**სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

[33] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია VIII[34]	რეკომენდირებულია, ამოქმედდეს პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-აღმოფხვრის მონიტორინგის მექანიზმები;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით და მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-აღმოფხვრის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედების შესახებ. ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, საფაკულტეტო კომისიების რეგლამენტში აუცილებელია მისი ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა. სტუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N 01-09-10/273 ბრძანებით შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები და დამტკიცდა მისი რეგლამენტი. კომისიის მიზანია, პერიოდულად შეფასდეს ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, პერიოდულად შეფასდეს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების ხარისხი. კომისია ახორციელებს მეცადინეობებზე დასწრებას, აუდიო-ვიდეო სისტემის ან/და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლას და ანალიზს. მეცადინეობების შეფასებას კომისია ახორციელებს კითხვარის საშუალებით. შემოწმების შედეგები ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. რეგლამენტში მკაფიოდაა გაწერილი თითოეული მეცადინეობის შეფასების პროცესი.
რჩევა[35] VIII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. სტუ-ს რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N 01-09-10/273 ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ (დანართი 7).

[34] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[35] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[36]

ექსპერტის ხელმოწერა

ნინო დონდოლაძე

[36] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა